ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1339882

ნომერი: AR1229473

თარიღი : 16.06.2014

გაცემის თარიღი : 19.06.2014

გაცნობის თარიღი : 19.06.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ ჯაში პ/ნ 01026000001
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 28 ბ. 43

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმის გათვალისწინებით, რომ სარეკონსტრუქციო შენობა–ნაგებობა განლაგებულია თევდორე მღვდლის ქუჩაზე, ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც თითოეული საპროექტო ობიექტის ვიზუალიზაციას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება, არქიტექტურის სამსახურს მისი უფლებამოსილების გათვალისწინებით შესაძლებლად არ მიაჩნია დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა აღნიშნულ არეალში, ე.წ. "ბავშვთა სამყარო"–ს შენობაზე მსგავი სახის ბანერის განთავსებასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge